ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №08
2018 წლის 24 იანვარი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №20 დადგენილებაში (www.matsne.gov.geნ 20/11/2017ნ სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.117.016345) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ვაჩაძე**

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგები, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა

№	რანგირება	თანამდებობათა დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1		**საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატი**	**11**	
	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1	1800

	II რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე – აპარატის უფროსის მოადგილე	1	1200
2		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**		
	II რანგი	იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	1	1100
	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	800
3		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილება**		
	II რანგი	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1	1100
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	850
	IV რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	**1**	750
4		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება**		
	II რანგი	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	**1**	1100
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	850
5		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილება**		
	II რანგი	საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	1	1100
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	850